მარნეულის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების შესახებ ინფორმაცია

მარნეულის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობების გეგმა (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები, არაფინანსური აქტივების კლება და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთი) განსაზღვრულია 25 155 852 ლარით. აქედან: ადგილობრივი სახსრების გეგმა 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთის გათვალისწინებით შეადგენს 16 169 654 ლარს, ხოლო დარჩენილი 8 986 198 ლარი შეადგენს სხვადასხვა სახის ტრანსფერს. ტრანსფერებში გათვალისწინებულია გათანაბრებითი ტრანსფერი – 6 003 800 ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 250 000 ლარი, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის #136 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი – 2 352 616 ლარი, 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთი შეადგენდა 379 782 ლარს, აქედან 336 244 ლარი არის საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 მარტის #480 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დარჩენილი ნაშთი, 36478 საქართველოს მთავრობის 2016 წლის 19 თებერვლის #265 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან, ხოლო 7060 ლარი საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 იანვრის #34 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან.

რაც შეეხება 2018 წლის პირველი კვარტლის ფაქტიურ შემოსავლებს:

სულ შემოსულობები პირველი კვარტლის გეგმით გათვალისწინებული იყო 4 142 327 ლარი, ხოლო ფაქტიური შემოსულობებმა შეადგინა 3 393 004.3 ლარი, რომელიც პირველი კვარტლის გეგმის 81.91 %–ია. 2018 წლის პირველი კვარტლის ფაქტიური შემოსულობები 28,18 % მეტია 2017 წლის ანალოგიური პერიოდის ფაქტიურ მაჩვენელებთან. 2018 წლის გადასახადების პირველი კვარტლის გეგმა არის – 1 619 000 ლარი, ხოლო ფაქტიური შემოსავლები – 529 581 ლარი რაც გეგმის 32,71 %–შეადგენს, გათანაბრებითი ტრანსფერი ფაქტიურად შემოსულია პირველი კვარტლის განმავლობაში 1 500 900 ლარი, რომელიც შეადგენს გეგმის 100,06 %-ს, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 62 400 ლარი, სხვა შემოსავლების 2018 წლის პირველი კვარტლის ფაქტი შეადგენს 1 272 323 ლარს,რაც პირველი კვარტლის გეგმასთან შედარებით 132,91 %–ია. არაფინანსური აქტივების კლება, რომელსაც პირველი I კვარტალში გეგმა გათვალისწინებული არ ჰქონდა, შეადგინა– 62 725 ლარი.

რაც შეეხება 2018 წლის პირველი კვარტლის ფაქტიურად გახარჯული თანხების ოდენობას, სულ შეადგენს 3 966 237 ლარს. აქედან ორგანიზაციული ბიუჯეტის მიხედვით:

1. წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ გახარჯული თანხა სულ შეადგენს 231 671 ლარს, რომელიც გაწეულია შემდეგი ხარჯების დასაფარავად: შრომის ანაზღაურებაზე 147 156 ლარი, საქონელი და მომსახურების მუხლით 54 171 ლარი, ხოლო სხვა ხარჯების მუხლით 30 343 ლარი.

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური
234232149
MARNEULI MUNICIPALITY CITY HALL

2. აღმასრულებელი ორგანოს მიერ გახარჯული თანხა სულ შეადგენს 945 747 ლარს, რომელიც გაწეულია შემდეგი ხარჯების დასაფარავად: შრომის ანაზღაურებაზე– 568 289 ლარი, საქონელი და მომსახურების მუხლით 298176 ლარი, გრანტების მუხლით 45 000 ლარი, სოციალური უზრუნველყოფის მუხლით 7867 ლარი, სხვადასხვა ხარჯების მუხლით 3 796 ლარი, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით 22 617 ლარი.
3. სარეზერვო ფონდიდან გახარჯული 28 599 ლარი გაწეულია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 67-ე მუხლის შესაბამისად გაუთვალისწინებელი ხარჯების დასაფარავად. (დანართი #1 შესაბამისად)
4. წინა პერიოდში წარმოქმნილ ვალდებულებებზე გახარჯულია 43 964, რომელიც წარმოადგენს აღებული სესხების ძირის დაფარვას.
5. ვალთან დაკავშირებული ოპერაციის მუხლით გაწეული ხარჯი არის 12 772 ლარი რომელიც შეადგენს აღებული სესხების პროცენტის დაფარვას.
6. სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის ხარჯი შეადგენს სულ 50 291 ლარს, რომელიც შედგება შემდეგი ხარჯებისაგან: შრომისანაზრაურება – 37 050 ლარი, საქონელი და მომსახურების მუხლით 13 241 ლარი.
7. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის ხარჯებზე სულ გახარჯულია 1 195 608ლარი. აქედან:
   7.1. გზებისა და ხიდების მშენებლობაზე, რეკონსტრუქციისა და მოვლა–შენახვაზე სულ გახარჯულია 6 862 ლარი
   7.2. წყლის სისტემების რეაბილიტაციასა და ექსპლოატაციაზე გახარჯულია 535 526 ლარი, აქედან, შპს „მარნეულის სოფწყალი“ სუბსიდიის სახით დაფინანსებულია 301 333 ლარით, რეაბილიტაციაზე ადგილობრივი სახსრების ფარგლებში – 110 245 ლარი, კაპიტალური ტრანსფერების ფარგლებში – 123 948 ლარი, ხოლო 2018 წლის პირველი კვარტლის განმავლობაში შპს ,,მარნეულის სოფწყალი“–ს საკუთარი შემოსავლები შეადგენს – 64 387 ლარს
   7.3. გარე განათების რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის სფეროდან ელექტრო–ენერგიის ღირებულებაზე და მოვლა–შენახვაზე გახარჯულია 226 904 ლარი.
   7.4. მუნიციპალიტეტის დასუფთავებაზე სულ გახარჯულია 234 970 ლარი.
   7.5. მარნეულის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული შპს „მარნეულის მუნიციპალიტეტის ავტოპარკზე“ გადარიცხულია სუბსიდიის სახით 145 048 ლარი, ხოლო საკუთარი შემოსავლები შეადგენს 145 048 ლარს.
   7.6. სკვერებისა და პარკების გაშენება-რეკონსტრუქციის, ქალაქის გამწვანებისა და მოვლა-პატრონობის ღონისძიებების მუხლით გახარჯულია 39 211 ლარი,
8. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში სულ გახარჯულია 5487 ლარი.
9. საგანმანათლებლო ღონისძიებებზე სულ გახარჯულია 494 464 ლარი, აქედან:
   9.1. სკოლამდელი აღზრდის დაფინანსება შეადგენს 436 848 ლარს, ხოლო საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია და მშენებლობაზე – 36 166 ლარი.
   9.2. საჯარო სკოლების დაფინანსების მიზნით გახარჯულია 21 450 ლარი, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული მასწავლებლების ხარჯებისთვის.

10. სპორტის განვითარების ხელშეწყობაზე 2018 წლის პირველ კვარტალში სულ გახარჯული იქნა 273 340 ლარი, აქედან სპორტსკოლა სუბსიდიის სახით დაფინანსდა

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური
234232149
MARNEULI MUNICIPALITY CITY HALL

141919 ლარით, სპორტული მოედნების მშენებლობა და რეაბილიტაცია – 129 338 ლარი, ხოლო სპორტული ღონისძიებები – 2084 ლარი.

11. კულტურული განვითარების ხელშეწყობაზე 2018 წლის პირველ კვარტალში სულ გახარჯული იქნა 211 838 ლარი; აქედან კულტურული ღონისძიებებისათვის 57 318 ლარი, კულტურის ცენტრის დაფინანსებაზე 151 963 ლარი, ხოლო კულტურული დაწესებულებების რეაბილიტაციაზე– 2557 ლარი.

12 ტელევიზიის მომსახურებაზე – 5500 ლარი.

13. რელიგიურ და სხვა სახის საზოგადოებრივ მომსახურებაზე – 151 798 ლარი.

14. 2018 წლის პირველი კვარტალში საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსებაზე გახარჯულია 31 344 ლარი.

15. სოციალურად დაუცველი მოსახლეობაზე დახმარების მიზნით გაწეულია 289 202 ლარის ხარჯი, აქედან ავადმყოფთა სოციალური დაცვის მუხლით – 212 062 ლარი, ოჯახების და ბავშვების სოციალური დაცვის მუხლით – 76 890 ლარი, ხოლო ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯების მუხლით გახარჯულია 250 ლარი.

მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის

საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: /ვ. მამედოვი/

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური
234232149
MARNEULI MUNICIPALITY CITY HALL